№ 737 პარასკევი, 29 იანვარი. 1896—1899 პარასკევი, 29 იანვარი № 737

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
თად მიმმართავენ რედაქციას დილის
10—3 საათამდე და საღამოს 6—9
„წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან. ერთის
თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა**

**გაზეთ „ცნობის ფურცელზე“**

ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

V. VERMOREL
consmructeur Villefranche
(Rhone) ვაზის შესასხურებელი
მანქანა „ეკლერ“ გოგირდის შე-
საყრელი მანქანა „ტორპილი“.

**შაბიამანი**
***macclesfield***
ერთად-ერთი წარმომადგენელი
მთელს რუსეთისა და კავკასიისა.
მ. ფრიდლონდი. ტფილისში. (10—4)

დააჩქარეთ ახალი მოსავლის ღვინოები

ამა წლის პირველ იანვრიდან დაიწყება საკუ-
თარ ახალ მოსავლის ღვინის ყიდვა. ვინც ათ
ბოთლს ერთად იყიდის დაუთმობს 1 მ. და 30 კ.

დააჩქარეთ ახალი მოსავლის ღვინოები

ღვინის სარდაფი
**„იყალთო“**
თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა
გოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლი, სასტ.
„როსსიას“ ქვეშ, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ჩვენ გავ-
ხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი
**„იყალთო“**
ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე,
ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**
Князей Г. и Л. Макаевыхъ
**подъ фирмой**
**„ИКАЛТО“**
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Антонова, подъ гост. «Россія» (75—45)

ვსთხოვთ ჩვენი „კედლის კალენ-
დრის“ გამყიდველებს, რომ უკეთუ
რამეს დარჩა გაუყიდველი და ამა
იანვარშიც დარჩებათ გაუყიდვე-
ლი ფიქრობენ, დაუყოვნებლივ გა-
მოგვიგზავნონ, რომელიმე ჩვენს
მაღაზიებში
მ. თავართქილაძეები. (10—9)

სამკურნალო და ამბულატორია
**ს. ბ. თოფურიასი**
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. **თო-
ფურია**. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს **ფ. ქ. გერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი **მ. თ. კოგანი.**
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფო-
ბის და აკუშერობის D-r **ф. ბა-
ცევიჩი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ.
ვარშავსკი.**
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თო-
ფურია.**
*Лѣчебница В. С. Топуріа* въ Кутаисѣ

# ახალი ამბავი

—

*** † **გოჩა ჯიხაიშელი.** კიდევ ერთი ახალგაზდა, პატიოსნებით და ნიჭით სავსე არსება მოსწყვიტა ამ წუთი-სოფელს შეუბრალებელმა სიკვდილმა!..

წარსულ კვირას სოფ. გოჩა-ჯიხაიში გარდაცვლილა ხანგრძლივი და სასტიკი ავადმყოფობის შემდეგ ჯერ კიდევ სრულებით ყმაწვილი კაცი ივანე ნუცუბაძე, მწერლობაში ცნობილი გოჩა ჯიხაიშელის სახელით.

განსვენებული სულ 23 წლისა არც კი იყო, მაგრამ თავისი ნიჭი და ღვთიური ნაპერწკალი უკვე საკმაოდ ჰქონდა გამოჩენილი: იგი სწერდა ლექსებს, პაწია მოთხრობებს და ქართულ დრო-გამოშვებით გამოცემებშიაც თანამშრომლობდა, სხვათა შორის ჩვენს გაზეთშიაც რამდენიმე მისი ლექსები ცალკე წიგნად იყო გამოსული, ზოგი მისი ნაწყვეტები „ივერიასა“ და „კვალშიაც“ იბეჭდებოდა...

განსვენებულს არავითარი სწავლა არ მიეღო, მაგრამ საკუთარის მეცადინეობით და შრომით საკმაოდ განვითარებული იყო. ჩვენ ქართულ მწერლობასთან საკმაოდ გაცნობილი იყო, საბრალო ერთხანად ქუთაისში და დაბა სოფლებში ქართულ წარმოდგენებში ღებულობდა მონაწილეობას და ზოგი როლი მგრძნობიერად ჩაუტარებია.

განსვენებულ გოჩა-ჯიხაიშელს აშკარად ეტყობოდა ღვთიური ნიჭი და რომ დასცალებოდა ეჭვი არ არის სასარგებლო რასმეს შექმნიდა ქართველობისათვის, რომლის სიყვარულით სულდგმულობდა განსვენებული.

ამ ორი კვირის განმავლობაში შეუბრალებელმა და ულმობელმა სიკვდილმა წაართვა ჩვენს საზოგადოებას სამი ახალგაზდა და იმედებით სავსე მუშაკნი: კნეინა დარია ფალავა, თავ. ვლადიმერ ფავლენიშვილი და გოჩა ჯიხაიშელი!

*** **ქართული საღამო ბაქოში.** 13 თებერვალს ქ. ბაქოში დანიშნულია ჩვეულებრივი ყოველწლიური ქართული საღამო, რომლის შემოსავალი გადადებულია „ქართველთა შორის წერა-კით. გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და აგრეთვე ქართული წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. ამ საღამოს გამგენი იბარებენ ტფილისიდან არტისტებს.

*** **სამსახურიდან გამოსვლა.** როგორც გავიგეთ, მთავარ-მართებლის რჩევის წევრი ტ. ს კ. ვ. იაკიმოვი სამსახურიდან გამოდის.

*** **ქალაქის მოურავისა და არღუთინსკის საქმე.** ქალაქის მოურავსა და თავ. არღუთინსკის შორის მომხდარ უთანხმოების განსახილველად მედიატორებად, როგორც ისმის, ნიშნავენ შემდეგ პირთ: ნ. პ. სმიტტენს, ვ. ნ. ივანენკოს და თავ. ვ. მიქელაძეს.

*** **სამინისტრო სკოლები ქ. ნუხაში.** 11 იანვარს ნუხის მაზრის უფროსმა დ. ვ. ასანიძემ, მრავალი ხალხის თანადასწრებით, გახსნა ორი სამინისტრო სკოლა: სავაჟო და საქალებო.

*** **რუსეთ-კავკასიის სამთო-სამრეწველო საზოგადოება.** ფინანსთა სამინისტროს წარუდგინა დასამტკიცებლად „რუსეთ-კავკასიის სამთო-სამრეწველო საზოგადოების“

წესდების პროექტი.

*** **საკვირაო ბაზრობა ს. ცაგერში.** ქუთაისის საგუბერნიო გამგეობამ დააწესა საკვირაო ბაზრობა ლეჩხუმის მაზრის ს. ცაგერში, აზნ. მდივანის ადგილზე.

*** **კავკასიის მონაწილეობა პარიზის მსოფლიო გამოფენაში.** კავკასიის მთავარ-მართებელს დაუარსებია საგანგებო კომიტეტი, რომელმაც უნდა მოაწყოს პარიზის 1900 წ. მსოფლიო გამოფენაში კავკასიისაგან მონაწილეობის მიღების საქმე. კომიტეტი განიყოფება სამ ნაწილად: პირველ ნაწილს მინდობილი აქვს სასოფლო მეურნეობის საქმე, მეორეს შინათ-მრეწველობის და საქარხნო მრეწველობის საქმე და მესამეს სამთო მრეწველობის საქმე.

*** **ვაზისაგან 1600 მოხმული მტევანი.** უცხოეთის გაზეთები იუწყებიან ერთ ფრიად შესანიშნავ მოვლენას, თურმე ავსტრიის სამხრეთ მხარეს ერთი მემამულე ბ. ანტ. ედელჰაუზარის ბაღში ერთს ვაზს წარსულ წელს 1600 მტევანი მოუბავს.

*** **მღ. იოანე კრონშტატელის შეწირულება.** მღ. იოანე კრონშტატელს შეუწირავს 300 მანეთი ქუთაისში განზრახულ „ბავშვებისათვის სამუშაო სახლის“ სასარგებლოდ.

*** **სოფლის საზოგადოების საყურადღებოდ.** ზოგიერთი სოფლის საზოგადოებანი განაჩენით დაადგენენ ხოლმე დააარსონ თავიანთ სოფელში რომელისამე უწყების სასწავლებელი და იკისრონ ამ სასწავლებლის ხარჯი, მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ ადგენენ ახალს განაჩენს, რომელშიაც წინანდელს ვალდებულობას უარჰყოფენ და აცხადებენ სურვილს სხვა უწყების სასწავლებლის დაარსებისას. ამის გამო კავკასიის მთავარ-მართებელმა ამიერ-კავკასიის გუბერნატორების ყურადღება მიაქცია უმართებულესის სენატის განმარტებას, რომლის ძალით წინანდელის განაჩენის უარ-ყოფა ახალის განაჩენით უკანონოდ არის ცნობილი. ამასთან მთავარ-მართებელმა დაავალა გუბერნატორს განკარგულება მოახდინონ, რომ სოფლის მცხოვრებთ ყრილობის დროს განუმარტონ ხოლმე სენატის მოწერილობის აზრი და აუწყონ, რომ პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი, ვინც უკანონო განაჩენის შედგენის საქმეში დამნაშავედ იქმნება ცნობილიო. მაზრისა და ოლქის უფროსები უნდა ეცადნენ არ მოხდეს ახალი ყრილობა ასეთის უკანონო განაჩენების დასადგენად.

*** **ფილოქსერა ქუთაისის გუბერნიაში.** იმის გამოსარკვევად, თუ რა ზარალი მოუტანია ფილოქსერას ქუთაისის გუბერნიაში, გასულ წელს გაგზავნილ იქმნენ ადგილობრივ აგრონომები ტიმოფეევი და ტარატინოვი. მათ მიერ შეკრებილ ცნობებიდგან სჩანს, რომ ქუთაისის გუბერნიის მრავალ სოფელში ფილოქსერას გადარჩენია მხოლოდ $^1/_4$—$^1/_5$ ნაწილი ვენახებისა. გუბერნიის აღმოსავლეთ ნაწილებში უფრო ცოტა ვენახი წამხდარა, მაგრამ წამხდარ ვენახების რაოდენობა მაინც აღემატება ყველა ვენახების ნახევრობას. უფრო ცოტა ვენახი წამხდარა აგრეთვე მდ. ყვირილის მარჯვენა ნაპირზე. ნავენახარი ადგილები გადაუქცევიათ საყანე ადგილებად, რომლებზედაც თესენ სიმინდსა და ბამბას. ვაზები უფრო უძლებენ სენს მთის ფერდობების ქვედა ნაწილებში და ჩავარდნილ ადგილებში, დაბლობში. ყველაზე უფრო იტანს ფილოქსერას ორი ჯიშის ვაზი: ცაცქა და მწვანე. ზოგიერთ ვენახებში ეს ვაზები 10 წელიწადი მეტი სძლებენ ფილოქსერით დაავადების შემდეგ. შემჩნეულია აგრეთვე ისეთი შემთხვევები, რომ ფილოქსერისაგან ძლიერ დაზიანებული ვენახი, რომელიც არავითარ იმედს აღარ იძლეოდა გამობრუნებისასა, ხელ-მეორედ გამობრუნებულა რამდენიმე ხნით და მოუცია გვარიანი მოსავალი, თუმცა შემდეგ ისევ წამხდარა. ეს იმით აიხსნება, რომ ფილოქსერას გამოუღრღნია თუ არა ვაზი, მიუტოვებია და ამის გამო ვაზი გამობრუნებულა. გასულ წელს ქუთაისის გუბერნიაში ბევრ ფილოქსერიან ვენახს კარგი მოსავალი მოუცია. ეს გამოუწვევია იმას, რომ 1897—1898 წ. ცივი და თოვლიანი ზამთარი იყო. საზოგადოდ კი ფილოქსერას გადარჩენილი ვენახები უმნიშვნელო მოსავალს იძლევა და მევენახეობა საზარალო გამხდარა ხალხისათვის. მცხოვრებლები სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ აუცილებლად საჭიროა ამერიკულ ვაზების გაშენება, რომელიც თანდა-თან ფეხს იკიდებს.

*** **ქუთაისი** † **კნ. დარია ფაღავას გასვენება.** 23 ს იანვარს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა თ. მელქისედეგ გრიგოლის ძე ფაღავას მეუღლე კნ. დარია მურზაყანის ასული. განსვენებულის სიკვდილმა თითქმის მთელი ქუთაისი დაამწუხრა: ერთი მისთვის, რომ ჯერ სრულებით ჯან-საღი და ახალგაზდა ადამიანი ეგრე მოულოდნელათ, უეცრად გამოეცალა საზოგადოებას და მეორე კი მისთვის, რომ განსვენებული ცნობილი იყო, როგორც მეტად კეთილი ადამიანი, ქველმოქმედი და ერთი კარგი წევრთაგანი საზოგადოებისა. მიცვალებული წაასვენეს ს. ბანძას დასასაფლავებლად და გასვენების დღეს 25 იანვარს დიდ-ძალმა საზოგადოებამ თავი მოიყარა მიცვალებულის პატივსაცემლად. თუმცა ტაროსი მეტად ცუდი იდგა და ტალახი ქუჩებზე თითქმის მუხლებამდის უწევდა ადამიანს. ბალდახინს ამშვენებდენ რამდენიმე მშვენიერი ლითონისა და ვერცხლის გვირგვინები, რომლებიც ზოგი მახლობელ ნათესავთაგან იყო მოტანილი, ზოგი პატივ მცემელთა და ნაცნობებთაგან, ნოქრებთაგან, ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასისაგან, რომელთაც აგრეთვე ამ დღისათვის დანიშნული წარმოდგენა მიცვალებულის პატივ-საცემლად გადადვეს და ზოგიც კიდევ სხვებისაგან ლიტიის დროს დეკანოზმა მამა გიგაუროვმა მეტად გრძნობერი სიტყვით მიმართა მიცვალებულს, რომლითაც მსმენლები მეტათ აატირა, მის შემდეგ კი თავ. შალვა დადიანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც აქვე მოგვყავს და რომელმაც მდუღარედ აცრემლა საზოგადოება. „ბრძენს უთქვამს: როდესაც ვიბადებით ვტირით, სხვები კი იცინიანო, საქმე ის არის ისე მოვაგვაროთ, რომ როდესაც მოვკვდებით სხვები ტიროდენ, ჩვენ კი ვიღიმებოდეთო და ეს ღიმილი კი იყოს ნეტარებისა, დამშვიდებული სულის ნაყოფი. შენ სწორედ ეგრე მოიქმედე.—აღარა ხარ ამ ქვეყნად და ყველანი ტირიან; ყველანი ვინც კი ოდნავ გიცნობდა. ეს ტირილი კი მით უფრო დასაფასებელია, რომ იგი გულწრფელია, მოუფერებელი. ამაშია კიდეც შენი ღირსება; კაცი მართლაც საუკეთესო თვისებებით უნდა იყოს შემკობილი, რომ ასეთი გულითადი, თითქმის საყოველთაო მწუხარება გამოიწვიოს. შენ კი, დარია, მართლაც გქონდა ეგ თვისებები, თუ არა და გავიხსენოთ შენი მართლადაც კეთილი გული, რომელიც ყველასთვის მზათ იყო მასალბუნებლად, მკურნალ მალამოთ გადახსნილიყო, თუ კი ამას საჭიროება მოითხოვდა; გავიხსენოთ შენი ჭკვა-მზიანობა, რომლითაც ყოველს ჩვენს ავ-კარგს თვალს ადევნებდი გონივრულად და გინდოდა, რითაც კი შენ შეიძლებდი, კარგი და სასურველი მხარე მიცემოდა ყოველივეს. შენთვის განურჩევლად ყველა კარგი იყო, თუ კი იგი მართლაც კარგობდა. ეს კი დიდი ღირსებაა ადამიანისათვის. შენ ამ დიდი ღირსებისაც პატრონი იყავი. აი, ამ[...] ტომ უფრო გგლოვს ყველა, [...] ლოვს იმიტომ, რომ შენი [...] მათ სამუდამოთ თვალთაგან მო[...] ფარა: ვეღარ გაგვახსოვნებს ჩვენ[...] დარია მისის ქცევით ჩვენ საამაყ[...] სახელს ძველი ქართველი ქალ[...] სას; ვერ დაგვანახებს ნათლად [...] წმინდესა და უმანკოებას ძველ[...] ბურს იმ სიკეთის სხივით გარ[...] მოსილს, რომელიც კაცს ცხოვრე[...] ბით მიღლილს კიდევ სასიცო[...] ლო ძალას უნერგავს, კიდევ იმე[...] ულვიძებს. აი ესენი ყველა შ[...] გამო სამუდამოთ გაგვეცალა [...] მიტომაც გვაწვება თვალში ცრ[...] მლი, გულს—მწუხარება... შენ [...] რა გიჭირს! შენ ნეტარი ხარ, ნ[...] ტარი მით, რომ იყავ იმ გვარ[...] „ვით შეჰფერის კაცსა კაცობა“ [...] შენი ვალი მოიხადე; მხოლო[...] ჩვენ, ვინც კი შენ გიცნობდი[...] მიტომ ვართ ზარ-განხდილნი, რო[...] შენი ჰვრეტა ასე ადრე მოგვესპ[...] და არ დაგცალდა, რომ შენი [...] თილი თვისებანი უფრო ფარ[...] წრისათვისაც გეგრძნობინებინა[...] ვაი, ვაი, დარია, რომ მხოლო[...] ესღაა სათქმელი შენზედ! ცრე[...] ლები მაღრჩობს... მშვიდობით [...] უკუნოდ“!..

შალვა დადიანი

*** **ყაზანი** (რუსეთი). ქა[...] თული წიგნი აკადემიაში. (იხ. „ც[...] ფურც.“ № 736). ამ ხან[...] ბში საქართველოში იმართებო[...] სკოლები, სადაც ქართველი ა[...] ზარდი თაობა იღებდა დროს შ[...] საფერს და საკმაო ცოდნა-გან[...] ლებას; უნივერსნი მათგანი [...] ზავნებოდნენ საბერძნეთში სწ[...] ლის განსაგრძობად; ამ „დიდე[...] დღეებში“ საქართველო მოიც[...] მონასტრებით, საყდრებით, ტ[...] ხეებით, უმაღლეს სასწავლებ[...] ბით; ზოგიერთი ძველი საქართ[...] ლოს არხიტექტურული ნაშთ[...] დღემდის აკვირვებენ მნახველ[...] თავის ორიგინალურ და მშვენ[...] რი ქანდაკებით. ქართველმა ხა[...] ხმა შეჰქმნა ორი ანბანი: მხედ[...] ლი და ხუცური. ამ ალფავი[...] სახმოვანო სისტემაზე და მის [...] რსებებზე ქებით იხსენიებენ ფილ[...] ლოგები (უსლარი და სხვ.).

ცნობილია, რომ ბედი ლი[...] რატურისა დამოკიდებულია [...] ბედზე და მის მდგომარეობა[...] ლიტერატურა სუსტდება ხალხ[...] ერთან; იფურჩქნება მის აღ[...] ძინებასთან ერთად. ლიტერატ[...] სარკეა, რომელშიაც უცდომელ[...] შეგვიძლიან ამოვიკითხოთ [...] მდგომარეობა და მისი ფსიხოლ[...] გია. მართალია საქართველოს [...] რგებია წილად ეთამაშა უმთავ[...] სი და ბრწყინვალე როლი მსო[...] ლიო ისტორიაში, მაგრამ მას [...]

და თავისი ოქროს საუკუნე, თავის ხანა დიდებისა და ძლიერებისა, ეს მეთორმეტე საუკუნეა, კერძოთ თამარის მეფობა. ბრწყინვალება მისი მეფობისა დააჩნდა ლიტერატურასაც. გამოჩნდნენ შესანიშნავი მწერლები, პროზაიკები მოსე ხონელი, სარგის თმოგველი და სხვ.; პოეტები: რუსთაველი, შავთელი და ჩახრუხაძე. საქართველოს ჰყავდა შესანიშნავი სასულიერო მწერლები და მოღვაწეები, პეტრე იბერი, ათანასე, ილარიონი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, ეფრემ დიდი, იოანნე ტარიჭელი, არსენი იყალთოელი, ანტონი და გიორგი ჭყონდიდელები, დომენტი III, ბესარიონი, ტიმოთე, ანტონი I, ამროს ნეკრესელი და კიდევ მრავალი ღირსსახსოვარნი მწერალნი და მქადაგებელნი.. ერთი სიტყვით საქართველოს ხალხს ფუჭად არ უცხოვრნია, მან თავის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრების განმავლობაში ბევრი ნიჭი, სიმხნევე, სიმამაცე, სიცოცხლე გამოიჩინა. მას ქართველს გაჭირვებულ და სახიფათო მდგომარეობაში ამხნევებდა ძალას აძლევდა ის ღვთიური ძღვრება, რომელიც ქვეყანაზე ქრისტემ ჩამოიტანა და წმ. ნინომ საქართველოში დათესა და აღმოაცენა. ფადეევი ამბობს: „Христіанской Грузіи удалось цѣною сверхъ человѣческихъ усилий уцѣлѣть до того часа, когда Россія доросла до подножія Кавказа". მერე რა აძლევდა ქართველს ძალას ამ „სვერხჩელოვეჩესკი" საქმის აღსასრულებლად? ვიმეორებთ: ქრისტიანობა და სამშობლოს სიყვარული; და აი დღეს ჩვენ, ყაზანელ ქართველ სტუდენტებს, მოგვეცა სასიამოვნო შემთხვევა გვედიდებინა ღმერთი იმ ენაზე, რომელზედაც ისე ტკბილად ქადაგა წმ. ნინომ ქრისტიანობა—ეს სიმბოლო ჩვენის ხალხოსნობისა.

იპ. ვართაგავა

## წმ. მოწამე არჩილი, საქართველოს მეფე *)

ბოლოს მისცა აზიმმა წინადადება წმ. არჩილს დაეტოვებინა ქრისტიანობა და მიეღო მაჰმადიანობა, რისათვისაც აღუთქვამდა მას დიდ პატივსა და ნიჭთა, მაგრამ ქართველთა მეფემ უარ-ჰყო მისი წინადადება, აღიარა რა იესო „ჭეშმარიტ ღმერთად", აზიმი განრისხდა წმ. მეფე არჩილზედ და ბრძანა მისი დაპატიმრება, მაგრამ თანაც ერიდებოდა და არ უნდოდა სიკვდილი მისი „მშვენიერებისათვის მისისა და სიმაღლისათვის ჭასაკისა მისისა"... ამ დროს აზიმთან იმყოფებოდა ერთი ზნეთბით გარყვნილი და დაცემული სომეხი, ზომელსაც თვისს სჯული უარ ეყო და მაჰმადიანობა მიეღო. ეს გამაჰმადიანებული სომეხი მტერი იყო ქართველ და სომეხ ქრისტიანეთა და სჩანს ამის გამო სცხოვრობდა ის აზიმთან. ის ეცადა ყოვლის ღონის ძიებით დაეღუპა არჩილ მეფე, რომლის პაპას ადარნასეს დაეფარა ამ სომხის მამის მკვლელნი. შურისძიებით აღძრულმა სომეხმა ჩააგონა აზიმს, რომ არჩილ მეფემ იცისო, თუ მისმა მამამ სად შეინახა დიდ-ძალი საგანძური და ან ბერძენთა მეფემ ერეკლემ სად დაფლა თვისი ოქრო ვერცხლი და საუნჯენი .. აზიმმა მოსთხოვა არჩილს ეჩვენებინა მისთვის ის ადგილი, სადაც ხსენებული სიმდიდრე ინახებოდა, მაგრამ ან კი რას ეტყოდა მას წმ. არჩილი პასუხად, როდესაც ეს ადგილი არ იცოდა... აზიმმა კვალად განუმეორა თვისი წინადადება სჯულის შეცვლის შესახებ. წმ. არჩილმა მიუგო: „მე არა დავუტეო უფალი ჩემი არცა განვშორდე წარუვალი იგი დიდება მსწრაფლ წარმავალისა ამის" დიდებისათვის... ახლა აზიმს მოაგონდა არჩილის ბრძოლა არაბებთან დასავლეთის საქართველოში ჲ ჰკითხა მას: „შენ იყავ დაცემასა სარკინოზთასა (არაბთა) აფხაზეთს (დასავლ. საქართველო)?—მე ვიყავ მაშინ, რადესაც დასცა იგინი ღმერთმან—„რომელმან ღმერთმან დასცა სარკინოზნი?—ჰკითხა აზიმმა. წმ. მეფემ უპასუხა: „ცხოველმან ღმერთმან დასცა და დაამდაბლა იგინი" აზიმი განრისხდა, მოთმინებიდამ გამოვიდა მოაგონდარა არაბთა დამარცხება დასავლეთის საქართველოში მირის და მის ძმის არჩილის მიერ... მან ნათლად წარმოიდგინა წმ. არჩილის ხასიათის სიმტკიცე და შეურყევლობა და ბრძანა „თავისა მოკვეთითა აღსრულება" მისი. წმ. მეფე გარეთ გაიყვანეს და მოჰკვეთეს თავი მისი მახვილით ოცსა მარტსა... ესრედ შეეწირა წმ. მეფე საქართველოს ეკკლესიას და თვისთა შემდეგთა დაუტოვა ცხოველი მაგალითი ხასიათის სიმტკიცისა და სარწმუნოების სიყვარულისა .. დაჭეშმარიტებით არ ვიცით აზიმმა წმ. არჩილის, მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ, კიდევ აღაოხრა საქართველო, თუ თვისს სამშობლოში წავიდა. ეს კი ვიცით, რომ თვით აღმწერი მისი ცხოვრებისა მას სთვლის „სახრად ქრისტიანეთა" და სასულიერო მწერალი ნიკოლოზ ტფილელი იტყვის იმის შესახებ, რომ იგი „ქრისტეს მსგავსებით მეგობართ ჯნავდის"... შესაძლოა ვიფიქროთ, რომ აზიმი დაკმაყოფილდა მეფის სიკვდილით და თანაც ჩქარა წავიდა სამშობლოში, რადგან მისმა მხეცურმა მკვლელობამ ფრიად ააღელვა და გაამწვავა თვისი ქველი მეფის მოყვარე ქართველი ხალხი .. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ წმ. არჩილ მეფის გვამს მისი მეუღლე უშიშრად ასაფლავებს ნოტკორას ტაძარში, რომელიც მეფისგან იქმნა აღშენებული. ეს ტაძარი, რომლის წიაღში განისვენებს წმ. არჩილ წამებულის გვამი, დღეს ნახევრად დანგრეულია და შეიძლება მალეც სულ დაინგრეს, და დიდებული სამარე უკვდავი მეფისა ტიტველა ცის ქვეშ დარჩეს. ეს ტაძარი მდებარეობს ერწოში და დღეს უზრუნველ ქართველთაგან თხოულობს შეკეთებას იმდენად მაინც, რომ წვიმა არ ჩამოდიოდეს მისს თაღებში და არ ასველებდეს დაუვიწყარი მეფის სანატრელს სამარესა. , საქართველოს ეკკლესიამ მეფე არჩილი ჩარიცხა წმიდათა შორის და დააწესა პატივისცემა მისი ხსენებისთვის ოცდა ერთს თიბათვეს. ამავე რიცხვს მასთან ერთად წმ. ეკლესია მოიხსენებს მეორე მეფეს წამებულსა, სახელდობრ ლუარსაბ მეორესა, ქართლის მეფესა, რომელიც აწამა მაჰმადიანობის მიუღებლობისათვის სპარსეთის მეფემ შაჰ-აბას პირველმა ათას ექვსას ოცდა-ორს (1622) წელსა... წმ. არჩილ მეფის მოწამებრივ სიკვდილით გამხნევებულმა ქართველმა ხალხმა შემდეგ წარმოაყენა მთელი გუნდი მოწამეთა სარწმუნოებისათვის, რომელთაც თვისი სისხლით მტკიცედ დაამყარეს იესოს მოძღვრება ქართველთა შორის და რომელთ ცხოველს მაგალითს სასწაულებრივი გავლენა ჰქონდა ამ ხალხის ცხოვრებაში. ამისთვის გულწრფელად მიუძღვნათ ქება წმ არჩილ წამებულსა, რომელიც დღეს განისვენებს წმიდათა შორის ზეციური მამის სავანეში და მხურვალე ლოცვით შევსთხოვოთ მას, რათა თვისი მეოხება, შემწეობა, და მფარველობა არ მოაკლოს ქართველს ხალხს.. . ჩვენს დაცემულს ზნეობას, ჩვენს სუსტს ჲ ცვალებადს ხასიათს, ჩვენს გაცივებულს გრძნობას სარწმუნოებისას ეჭირვება ზესთა—ბუნებითი, სარწმუნოებრივი დახმარება, რომელსაც შეუძლია კვლავ შთაგვბეროს მამაპური სიყვარული სარწმუნოებისა, ეკკლესიისა, სიკეთისა და საზოგადოდ ყოვლისავე იმისა, რაც აღამაღლებს აკეთილშობილებს, აცისკროვნებს ადამიანის ცხოვრებას და თანაც მისს მაღალს მოწოდებას და დანიშნულებას შეესაბამება ამან.

ილ. ფერაძე

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 736.

## თეატრის მატიანე

* * * ს. ავჭალა. ქართული წარმოდგენა. კვირას, 24 იანვარს, თბილისის ქართული სახალხო თეატრის არტისტებმა ადგილობრივ ინტელიგენტ ქალთა დახმარებით და მონაწილეობით წარმოადგინეს ცაგარლის დრამა „ციმბირელი". ასეთ პატარა სოფელში, და ისიც ქართლში, სწორედ შეუძლებელი იქნებოდა ასეთი მოვლენა, რომ არ გამოჩენილიყვნენ აქ ხალხის ისეთი გულშემატკივარნი და მეგობარნი, როგორებიც არიან ვეოა ბასთამოვის ქალი და ამ სოფლის მღვდელი ვას. ლეჟავა თავისი სახლობით. ამათ ენერგიას, ხალისსა და თავ გამოდებას უნდა მიეწეროს, რომ ასეთ პაწაწინა სოფელში, სადაც სულ 80-ოდე კომლი მცხოვრებია, გაიმართა სახალხო წარმოდგენა, იმართება ყოველ კვირაობით სახალხო კითხვა და კარგა ხანია დაარსებულია საქალებო სკოლა, საკუთარი შენობა აქვს და რიგიანი მასწავლებელი ქალიც ჰყავს დანიშნული საეპარქიო მთავრობისაგან. წერა-კითხვის გარდა ქალებს ხელ-საქმესაც ასწავლიან, რითაც უფრო დაინტერესებულნი არიან, როგორც თვით მოსწავლენი, ისე მშობლებიც. ამ ფრიად საჭირო საქმისთვის ადგილობრივ მღვდელს, მ. ლეჟავას დათმობილი აქვს ერთი ოთახი სოფლისაგან მისთვის აგებულ შენობაშია და ხელმძღვანელობს ამ საქმეს. ჩინებულათ მიჰყავს საქმე მღვდელსავე უმცროს ქალს, ოლა ლეჟავას, რომელიც მეთაურობს სახალხო კითხვასაც. აგერ რამდენიმე თვეა ეს ახალგაზდა ქალი გატაცებით უკითხავს ხალხს ჩვენი მწერლების ზოგიერთ ნაწარმოებს და მით ხალხში იწვევს ერთგვარ კულტურულ მოძრაობას. სამწუხაროდ უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მსმენელთ რიცხვი ამ ბოლო დროს კლებულობს. როგორც თვით ხელმძღვანელნიც აღიარებენ, ეს გარემოება აიხსნება წაკითხულ წიგნების გლეხთა გონებრივ ვითარებასთან შეუფერებლობით. წაუკითხავთ, მაგალითად, ი. ჭავჭავაძის „გლეხის ნაამბობი", მაჩხანელის „ძმური სიტყვა" და სხ. ამ საქმეში თითქო დახმარება გაუწევია ტფილისის სახალხო სამკითხველოების გამგეობას, უთხოვებია რამდენიმე წიგნი, სიტყვა-კაზმული ლიტერატურიდან, ბუნების მეტყველებიდან კი არც ერთი; ეს უკანასკნელი გარემოება რით აიხსნება, ძნელი გამოსაცნობია!

24 იანვარს წარმოდგენის მიზანი იყო გაეცნო ხალხისთვის თეატრი, ქართული სახიობა...

ხალხი, ქალი და კაცი ბლომათ

მოაწყდა თეატრს, მაგრამ უადგილობის გამო იძულებული იყო მომეტებულ ნაწილს გარედან მოესმინა. ქალი მეტი იყო, ვიდრე კაცი. აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ პიესა ვერ იყო შერჩეული. დრამა საზოგადოდ არა თუ გლეხობისათვის, თვით ქალაქელებისათვისაც ძნელი გასაგებია. ხალხი ტრაღიკულ მომენტებზედაც ისე ხარხარებდა, როგორც კომიკურზე. საზოგადოთ წარმოდგენამ პირობების შესაფერად კარგად, მწყობრად ჩაიარა, ხალხიც მეტად ნასიამოვნები დარჩა და არტისტებიც. მართალია უმთავრესი სცენები (ტრაღიკული) საუცხოვოდ იყო წარმოდგენილი, მაგრამ სამაგიეროთ ზოგიერთი სცენა ხელოვნურად იყო ჩატარებული. განსაკუთრებით ის სცენა, სადაც მხიარული პეტუა— ბიჭი სიყვარულს უცხადებს კეკელუც მაშო-მოახლეს. ეს ისე კარგათ იყო წარმოდგენილი, რომ ჩვენის დრამატიულ საზოგადოების არტისტებსაც შეშურდებოდათ. ამ როლების ამსრულებლებს ნამდვილი არტისტიული ნიჭი ემჩნეოდათ. დიდი ქებისა და პატივისცემის ღირსნი არიან წარმოდგენის მეთაურნი.

## ყურმოკრული საუბარი

— რა საშინლად გაგისვრია პალტო! ფერდები და ზურგი მთლად ტალახში გაქვს.

— ჰო, პალტო ხელიდან დამვარდა და...

— მერე რო დაგკარგოდა?

— როგორ დამეკარგებოდა, პალტოს ფოლაქები სულ შებნეული მქონდა.

—

— მითხარი, თუ გიყვარდე, შენი ცოლი რატომ არ დაუმეგობრდება ჩემსას?

— მე მიმხვდარი ვარ, რატომ.

— აბა, რატომ?

— გინდა იცოდეთ მართალი?

— როგორ არ მინდა.

— ჩვენში კი დარჩეს და, ჩვენს ცოლებს, მეგობარო, ორივეს ერთი საყვარელი ჰყავთ.

—

ოცი წლის ახალგაზრდა ბიჭი ეუბნება შუა ხნის დედაკაცს:

— ელისაბედ შენი გიორგი სულ მე მგავს შეხედულობით, არა?

— შვილო იოსებ, გგავს თუ არა, ეგ არ ვიცი და, მე რომ მამაშენს ვერ ვიცნობ, ამაზე კი ფიცი შემიძლიათ, მიუგო დედაკაცმა.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

26 იანვარი

**პარიზი.** საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ დააბოლოოვა გამოძიება დრეიფუსის საქმის გამო. Dossier-ი გარდაეცემა მთავარ ბრალმდებელს, რომელმაც თავისი აზრი უნდა დაადგინოს. შემდეგ dossier-ი, ბრალმდებელის აზრითურთ, დაბრუნდება ისევ სისხლის სამართლის პალატას, რომელიც მომხსენებელს დაჰნიშნავს

**მადრიდი.** დედოფალი ხვალ მოაწერს ხელს ბრძანებას, რომლითაც აღდგენილი იქმნება საკონსტიტუციო უფლებანი გაუქმებული სამხედრო დროის წეს-რიგი მთელს ესპანიაში.

27 იანვარი.

**ქრისტიანია.** სტორტინგმა 74 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 31 ხმისა, გადასდო 50,000 კრონი სამშვიდობო კონფერენციისათვის, რომელიც ქრისტიანიაში უნდა მოხდეს.

**ნიუიორკი.** როგორც „Nerald“-ს გაუგია, გენერალ ოტისს ნაბრძანები აქვს აცნობოს ფილიპინელ მეამბოხეთ ესპანო-ამერიკის სამშვიდობო ხელშეკრულების დამტკიცება, განაგრძოს ომი და მოსპოს ამბოხება ამერიკის უფლების წინააღმდეგ.

იმავე გაზეთიდამა სჩანს, რომ მანილიდგან ილო-ილოში ჰერცოღ მილერს ინსტრუქცია გაეგზავნა დაუყონებლივ დაიჭიროს ილო-ილო.

**ვაშინგტონი.** მანილიდგან მოსული დეპეშები იუწყებიან, რომ შაბათისა და კვირის ბრძოლაში ფილიპინელებისთვის მოუკლავთ 2000 კაცი, დაუჭრიათ 3,500 და ტყვედ წაუყვანიათ 5000.

**ლონდონი.** ლორდთა პალატამ შეიწყნარა სეფე სიტყვის საპასუხო ადრესი. კამათის დროს კიმბერლეის მსჯელობა ჰქონდა ინგლისის დამოკიდებულობის შესახებ საფრანგეთთან და რუსეთის ცირკულიართან შეიარაღების შესახებ. გამოსთქვა აზრი გერმანიასთან შეთანხმების შესახებ, მოითხოვოს უფრო დაწვრილებითი ცნობები ამ საგნის შესახებ და შეეკითხა მთავრობას, თუ რა პოლიტიკას ადგას იგი ჩინეთში. ინგლისმა დაიპყრო სუდანი არა მარტო ვითარცა ეგვიპტეს ნაწილი კი არა, არამედ ამიტომ, რომ უფლება ჰქონდა დაპყრობისა. ეგვიპტეს უფლებათა აღდგენა არ იქმნებოდა დამყარებული არც ისტორიულ მაგალითებზედ და არც საერთაშორისო უფლებებზე. შეთანხმებას გერმანიასთან დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანობისათვის. შემდეგ მარკიზმა სოლსბერიმ სთქვა, მე ჩემს მოვალეობას ვულალატებდი, რომ დანარჩენი პირობები გამომემჟღავნებინა, რადგანაც, ამ ჟამად მაინც, ინგლისის მხრივ არავითარი მოქმედება არ არის საჭირო. კრიტის შესახებ სოლსბერიმ სთქვა, რომ ამ საქმის გათავებით კმაყოფილი ვარო. ბატონიშვილი გიორგი მეტად პირუთვნელი კაცია და ამიტომ საბუთი მაქვს ვიფიქრო, რამ მოახერხებს ქრისტიანებისა და მაჰმადიანების მორიგებას, კიმბერლეის რომ უნდოდეს შეიტყოს რომ ჩინეთის ბედის შესახებ, უპირველეს ყოვლისა უნდა გაიგოს რა ხდება პეკინის ერთს სასახლეში და ერთს კუნძულზე. ჩინეთის ბედი ინგლისის ხელში არ არის, მაგრამ ინგლისსა ჰსურს ხელი შეუწყოს თავისს ვაჭრობასა და დაჰბადოს პატივის ცემა თავისის უფლებისა.


# განცხადებანი

1899

# „მოამბე“

თვიური ჟურნალი

(წელიწადი მეექვსე)

**გამოვა იმავე პროგრამით**

მხოლოდ ჟურნალის ვრცელის პროგრამის სავსებით შესასრულებლად მომავალ წელს რედაქცია ეცდება, სხვათა შორის, მკითხველებს მიაწოდოს მიმოხილვანი შინაურის ცხოვრებისა და უცხოეთისა, აგრეთვე კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ამ განყოფილებათათვის მასალის შეკრება და სტატიების წერა იკისრა ახლად შედგენილმა სარედაქციო კომისიამ. მომავალს წლიდან ჟურნალში დაიბეჭდება ახალი ორიგინალური მოთხრობანი და დრამატიული თხზულებანი ჩვენის ცნობილის მწერლების..

დეკემბრის ნომერში დაიწყება ბეჭდვა სოფ. მგალობლიშვილის დიდი მოთხრობისა ჩვენის ცხოვრებიდან.

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში. . | **10** მან. | **6** მან. | **4** მან. |
| საზღვარ გარედ . . . . | **13** მან. | **7** მან. | **5** მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლია შემოიტანოს: 1 იანვრამდე— 4 მან., 1 აპრილამდე— 3 მან. და 1 სეკტემბრამდე— 3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქ., № 1

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ს ხელის მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოტანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათი შაური, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერი დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიუღებლობის გამო რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція* „Моамбе“

რედაქციამ მოსახერხებლად სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რვა მანეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველად ოთხი მანეთი შემოიტანოს და ორ-ორი მანეთიც მარტში და აგვისტოში.

---

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

# „კვალი“

გამოვა 1899 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

იმავე პროგრამით და იმავე თანამშრომლებით, როგორც 1898 წ.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად **7** მან., ხოლო გაგზავნით 8 მან.; ნახევარი წლით გაუგზავნელად **3** მან. **50** კაპ., გაგზავნით 4 მ.; სამი თვით გაუგზავნელად **2** მ., გაგზავნით **2** მ. **50** კ. თითო ნომერი სამი შაური. ხელის-მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილადაც გამოგზავნონ.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (სასახლის ქ., სათავად-აზნ. ქარვ.) და თვით „კვალის“ რედაქციაში — არტილერიის ქ. № 5, კადეტთა კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція «Квали» (10—7)